

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საქპიდროენერგომშენი

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი:

- 1 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
- 2 სრული შემოსავლის ანგარიშგება
- 3 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- 4 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- 5 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
- 6 ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები



აუდიტორული კომპანია შპს "ფინსერვისი აუდიტი"

ქ. გუბდიდი,
ზვინად ბაქსაბურდიას ბაზმორი №32

SARAS-F-269273

ს/პ: 419991129

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს საქჰიდროენერგომშენის დამფუძნებელს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს საქჰიდროენერგომშენი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს საქჰიდროენერგომშენის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს საქჰიდროენერგომშენის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს საქჰიდროენერგომშენის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს საქჰიდროენერგომშენის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს საქჰიდროენერგომშენი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები.

გარიგების პარტნიორი

ზურაბ მამფორია

24.11.2025წ



აუდიტორული კომპანია შპს "ფინსერვისი აუდიტი"

ქ. გუბაძის,
გვიად გამსახურდიას გამზომი №32

SARAS-F-269273

ს/კ: 419991129

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს საქჰიდროენერგომშენის დამფუძნებელს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს საქჰიდროენერგომშენი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს საქჰიდროენერგომშენის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს საქჰიდროენერგომშენის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს საქსიდროენერგომშენის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა შპს საქსიდროენერგომშენის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს საქსიდროენერგომშენი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები.

გარიგების პარტნიორი

ზურაბ მამფორია

24.11.2025წ



შპს საქჰიდროენერგომშენი (ს.5242743073)

სრული შემოსავლისა ანგარიშგება 2024 წლისთვის

		2024წ	2023წ
ამონაგები	5	6746524	12190580
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4271424)	(6905286)
საერთო მოგება		2475100	5285295
სხვა შემოსავალი	6	96954	88310
კომერციული ხარჯები		0	0
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1738281)	(1294871)
სხვა ხარჯები		(16599)	(12621)
ფინანსური ხარჯები		(45409)	(55688)
მოგება დაბეგვრამდე		771765	4010425
მოგების გადასახადის ხარჯი		(136133)	(85180)
მიმდინარე წლის მოგება		635631	3925246

შპს საჰიდროენერგომშენი (ს.6242743073)

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლისთვის

		2024წ	2023წ
ამონაგები	5	6746524	12190580
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4271424)	(6905286)
საერთო მოგება		2475100	5285295
სხვა შემოსავალი	6	96954	88310
კომერციული ხარჯები		0	0
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1738281)	(1294871)
სხვა ხარჯები		(16599)	(12621)
ფინანსური ხარჯები		(45409)	(55688)
მოგება დაბეგვრამდე		771765	4010425
მოგების გადასახადის ხარჯი		(136133)	(85180)
მიმდინარე წლის მოგება		635631	3925246



შპს საქჰიდროენერგომშენი (ს.5242743073)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	2559327	2728526	1561687
არამატერიალური აქტივები		117	175	233
გაცემული სესხები				
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები			600000	
სულ გრძელვადიანი აქტივები		2559444	3328701	1561920
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	10	983791	436382	504995
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	1026421	500596	490311
სასესხო მოთხოვნები			0	445493
მოკლევადიანი ინვესტიციები		9043	2079	68113
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	13	1828291	2529223	1128811
სხვა მიმდინარე აქტივები		600000	301498	65685
სულ მიმდინარე აქტივები		4447545	3769779	2703408
სულ აქტივები:		7006989	7098480	4265328

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	7700	6700	40000
საემისიო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	6687722	6823511	3805950
რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	6695422	6830211	3845950
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14 93288	42338	417137
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	22547		
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	194812	225779	2241
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	920	152	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	311567	268269	419378
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7006989	7098480	4265328
	0	0	0
დირექტორი			

შპს საქჰიდროენერგომშენი (ს.5242743073)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	2559327	2728526	1561687
არამატერიალური აქტივები		117	175	233
გაცემული სესხები				
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები			600000	
სულ გრძელვადიანი აქტივები		2559444	3328701	1561920
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	10	983791	436382	504995
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	1026421	500596	490311
სასესხო მოთხოვნები			0	445493
მოკლევადიანი ინვესტიციები		9043	2079	68113
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	13	1828291	2529223	1128811
სხვა მიმდინარე აქტივები		600000	301498	65685
სულ მიმდინარე აქტივები		4447545	3769779	2703408
სულ აქტივები:		7006989	7098480	4265328
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		7700	6700	40000
საიმისიო კაპიტალი				

გაუნაწილებელი მოგება_ზარალი რეზერვები	668772 2	6823511	3805950
სულ საკუთარი კაპიტალი	<u>6695422</u>	<u>6830211</u>	<u>3845950</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები სასესხო ვალდებულებები სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			0 0
მოკლევადიანი ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მიმდინარე სასესხო ვალდებულებები საგადასახადო ვალდებულებები ვალდებულებები პერსონალის წინაშე სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	14 93288 22547 194812 920	42338 225779 152	417137 2241 0
	<u>311567</u>	<u>268269</u>	<u>419378</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	<u>7006989</u>	<u>7098480</u>	<u>4265328</u>
	0	0	0
დირექტორი			



[Handwritten signature in blue ink]

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლისთვის

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	7395729	13964773
როიალტების, ჰონორარების, საკომისიო გადასახდელების სახით მიღებული ფულადი სახსრები და სხვა ამონაგები		0
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(4039929)	(5333140)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(2180704)	(2060835)
მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება	(1206064)	(1910009)
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<u>(30968)</u>	<u>4660790</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(179474)	(1673557)
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	0	39426
სხვა საწარმოების წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		0
სხვა საწარმოების წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		0
სხვა მხარეებზე გაცემული ფულადი სახსრები, ავანსის ან სესხის სახით	(35526)	(800000)
სხვა მხარეზე გაცემული ავანსებისა და სესხების დაბრუნების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები	228531	66034

დივიდენდის შემოსვლა/გასვლა	(732850)	(862300)
<i>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</i>	<u>(719319)</u>	<u>(3230397)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან აქციებისა და სხვა წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები	1000	0
მესაკუთრეთათვის გადახდილი ფულადი სახსრები, საწარმოს აქციების შესაძენად ან გამოსყიდვის მიზნით		(33300)
სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, თამასუქების, ობლიგაციების, იპოთეკური კრედიტებისა და სხვა მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხების გამოშვების შედეგად საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები		
ნასესხები სახსრების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები;	(45409)	(55688)
სესხის % დაბრუნება	90781	59629
მოიჯარის მიერ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დაუფარავი ვალდებულების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები.		0
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი	2982	(621)
<i>საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</i>	<i>49354</i>	<i>(29980)</i>
<i>ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)</i>	<u><i>(700933)</i></u>	<u><i>1400413</i></u>
<i>ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის</i>	<i>2529223</i>	<i>1128811</i>
<i>ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის</i>	<u><i>1828291</i></u>	<u><i>2529223</i></u>

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლისთვის

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების	7395729	13964773
გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები		
როიალტების, ჰონორარების, საკომისიო		0
გადასახდელების სახით მიღებული ფულადი		
სახსრები და სხვა ამონაგები		
საქონლისა და მომსახურების		
მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი	(4039929)	(5333140)
სახსრები		
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით	(2180704)	(2060835)
გადახდილი ფულადი სახსრები		
მოგების გადასახადთან დაკავშირებული	(1206064)	(1910009)
ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება		
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო</i>	<i>(30968)</i>	<i>4660790</i>
<i>საქმიანობიდან</i>		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და	(179474)	(1673557)
სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად		
გადახდილი ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და	0	39426
სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან		
მიღებული ფულადი სახსრები		
სხვა საწარმოების წილობრივი ან სავალო		0
ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის		
წილის შესაძენად გადახდილი ფულადი		
სახსრები		
სხვა საწარმოების წილობრივი ან სავალო		0
ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის		
წილის გაყიდვიდან მიღებული ფულადი		
სახსრები		
სხვა მხარეებზე გაცემული ფულადი სახსრები,	(35526)	(800000)
ავანსის ან სესხის სახით		
სხვა მხარეზე გაცემული ავანსებისა და სესხების	228531	66034
დაბრუნების შედეგად მიღებული ფულადი		
სახსრები		
დივიდენდის შემოსვლა/გასვლა	(732850)	(862300)

საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული
წმინდა ფულადი სახსრები

(719319)

(3230397)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან
აქციებისა და სხვა წილობრივი ინსტრუმენტების
გამოშვების შედეგად საწარმოში შემოსული
ფულადი სახსრები

1000

0

მესაკუთრეთათვის გადახდილი ფულადი
სახსრები, საწარმოს აქციების შესაძენად ან
გამოსყიდვის მიზნით

(33300)

სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების,
თამასუქების, ობლიგაციების, იპოთეკური
კრედიტებისა და სხვა მოკლევადიანი ან
გრძელვადიანი სესხების გამოშვების შედეგად
საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები

ნასესხები სახსრების დასაფარად გადახდილი
ფულადი სახსრები;

(45409)

(55688)

სესხის % დაბრუნება

90781

59629

მოიჯარის მიერ ფინანსურ იჯარასთან
დაკავშირებული დაუფარავი ვალდებულების
შესამცირებლად გადახდილი ფულადი
სახსრები.

0

0

უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად
წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა
ან ზარალი

2982

(621)

საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა
ფულადი სახსრები

49354

(29980)

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების
ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)

(700933)

1400413

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების
ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის

2529223

1128811

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების
ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის

1828291

2529223



შპს საქჰიდროენერგომშენი (ს.5242743073)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2024 წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
<u>2022 წლის 31 დეკემბერი</u>	<u>40000</u>	<u>3805950</u>	<u>3845950</u>
<u>საწესდებო კაპიტალის გაზრდა/შემცირება</u>	<u>(33300)</u>		
მოგება/ზარალის ანგარიშგება		3923493	<u>3923493</u>
გადახდილი დივიდენდი		(907684)	<u>(907684)</u>
<u>2023 წლის 31 დეკემბერი</u>	<u>6700</u>	<u>6821759</u>	<u>6828459</u>
შეცდომის შესწორება	<u>11</u>	<u>1752</u>	<u>1752</u>
<u>2023 წლის 31 დეკემბერი</u>	<u>6700</u>	<u>6823511</u>	<u>6830211</u>
<u>შეცდომის შესწორების შემდეგ</u>			
<u>საწესდებო კაპიტალის გაზრდა/შემცირება</u>	<u>1000</u>		<u>1000</u>
მოგება/ზარალის ანგარიშგება		635631	<u>635631</u>
გადახდილი დივიდენდი		(771421)	<u>(771421)</u>
<u>2024 წლის 31 დეკემბერი</u>	<u>7700</u>	<u>6687722</u>	<u>6695422</u>

შპს საჰიდროენერგომშენი (ს.5242743073)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2024 წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
<u>2022 წლის 31 დეკემბერი</u>	<u>40000</u>	<u>3805950</u>	<u>3845950</u>
<u>საწესდებო კაპიტალის გაზრდა/შემცირება</u>	<u>(33300)</u>		
მოგება/ზარალის ანგარიშგება		3923493	<u>3923493</u>
გადახდილი დივიდენდი		(907684)	<u>(907684)</u>
<u>2023 წლის 31 დეკემბერი</u>	<u>6700</u>	<u>6821759</u>	<u>6828459</u>
შეცდომის შესწორება	<u>11</u>	<u>1752</u>	<u>1752</u>
<u>2023 წლის 31 დეკემბერი</u> <u>შეცდომის შესწორების შემდეგ</u>	<u>6700</u>	<u>6823511</u>	<u>6830211</u>
<u>საწესდებო კაპიტალის გაზრდა/შემცირება</u>	<u>1000</u>		<u>1000</u>
მოგება/ზარალის ანგარიშგება		635631	<u>635631</u>
გადახდილი დივიდენდი		(771421)	<u>(771421)</u>
<u>2024 წლის 31 დეკემბერი</u>	<u>7700</u>	<u>6687722</u>	<u>6695422</u>



[Handwritten signature]

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს საქჰიდროენერგომშენი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში ფოთის საგადასახადო ინსპექციის მიერ, (რეგისტრაციის ნომერი NB12108700). რეგისტრაციის დღიდან 2018 წლის 24 სექტემბრამდე საწარმოს სახელწოდება იყო შპს სამშენებლო კომპანია პირამიდა. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქალაქი ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზ. N32. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის მისი იურიდიული მისამართი. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირების მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ხიდების და გვირაბების მშენებლობა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი წარმოდგენილია წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

თუ შესაძლებელი იქნება სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება, შესაბამისად, როგორც ამონაგები და ხარჯი, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

პროცენტი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები გაცემული სესხები

გაცემულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

გაცემულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით გაუფასურების გამოკლებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობები - 1,4%

მანქანა დანადგარები 10-20%

ოფისის აღჭურვილობა 20-30%

ავეჯი და სხვა ინვენტარი 20-30%

სატრანსპორტო საშუალებები 10-20%

სამუშაო ინვენტარი 14-50%

3.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10 პროცენტი .

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.5 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.6 იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით,

3.7 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღა-

ურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.8 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

3.9 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა,

3.10 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები
ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

5. ამონაგები

	2024 წ	2023 წ
სამშენებლო სარემონტო საქმიანობიდან	6746524	12124868
საქონლის რეალიზაცია	0	65713
ჯამი	6746524	12190580

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სახელშეკრულებო ამონაგების სახით აღიარებულია 6746524 ლარი, რომელიც ჩართულია მომსახურების გაწევიდან მიღებულ ამონაგებში.

პერიოდის განმავლობაში სამშენებლო ხელშეკრულებებიდან მიღებული სახელშეკრულებო ამონაგების განსაზღვრად გამოიყენება პროცენტული შესრულების მეთოდი. დაუმთავრებელი ხელშეკრულებების შესრულების სტადიის განსაზღვრისთვის ყველაზე საიმედოდ ჩაითვალა და გამოიყენება პროპორციულობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმართებით.

6. სხვა შემოსავლები

	2024 წ	2023 წ
საპროცენტო შემოსავლები	90781	84828
საკურსო სხვაობის შემოსავალი	1173	2982
შემოსავალი საღამღვეოდან	0	377
საექვო ვალის რეზერვ მოხსნა	0	124
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	5000	0
ჯამი	96954	88310

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2024წ	2023წ
შრომის ანაზღაურება	890282	625307
საიჯარო ქირა	15000	58417
საოფისე ინვენტარი	7481	5546
კომუნიკაციის ხარჯები	3575	3150
დაზღვევა	35072	44023
რემონტი	232278	57985
კომპიუტერის ხარჯები	0	1115
საკონსულტაციო ხარჯები	5000	5000
ცვეთა და ამორტიზაცია	313134	230812
საექვო მოთხოვნ.	0	153
დაკავშირებული ხარჯები		
სხვა საგადასახადო ხარჯი	26276	21171
კომუნალური ხარჯი	23438	16746
სხვა საერთო ხარჯი	186745	225445
ჯამი	1,738,281	1,294,871

8. სხვა ხარჯები

	2024წ	2023წ
ძირითად სამ რეალიზაცია	0	(33412)
ძირითად სამ რეალიზაციის	0	43958
თვითღირებულება		
ძირითადი სამუშალების	16599	2075
ჩამოწერა		
	16599	12621

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა-ნაგებობები	შენობები	ნაგებობა	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სამუშაო ინვენტარი	სულ
თვითღირებულება									
1 იანვარი 2023 წ.	5224	177164	69653	351236	44813	22741	1649938	154478	2475247
შემოსვლა	314570	0	7203	1003057	31084	0	88348	0	1444262
გასვლა	0	0	0	(6181)	0	0	(98150)	(4229)	(108560)
31 დეკემბერი 2023 წ.	319794	177164	76857	1348111	75897	22741	1640136	150249	3810949
შემოსვლა		0	0	76371	4151	593	79360	0	160475
გასვლა	0	0	0	(32447)	(15526)	(1767)	0	0	(49740)
31 დეკემბერი 2024 წ.	319794	177164	76857	1392034	64522	21567	1719496	150249	3921684
									0
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	0	11802	12714	123429	20517	14387	690327	40385	913561
1 იანვარი 2023 წ.									0
წლიური ცვეთა	0	2622	6920	60285	9150	1879	137252	12645	230753
გაუფასურება									0
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	0	0		(3824)	0	0	(54192)	(3876)	(61891)
31 დეკემბერი 2023 წ.	0	14424	19634	179891	29667	16266	773387	49154	1082423
									0
წლიური ცვეთა	0	2622	7561	130423	9823	1676	147075	13896	313075
გაუფასურება									0
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა		0	0	(19843)	(11991)	(1246)	0	(63)	(33141)
31 დეკემბერი 2024 წ.	0	17047	27195	290472	27499	16696	920462	62987	1362356
									0
საბალანსო ღირებულება									0
1 იანვარი 2023 წ.	5224	165362	56939	227807	24296	8354	959612	114093	1561687
31 დეკემბერი 2023 წ.	319794	162740	57223	1168221	46230	6475	866749	101095	2728526
31 დეკემბერი 2024 წ.	319794	160118	49662	1101563	37023	4871	799034	87262	2559327

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან

გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

- (ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- (ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად დაგირვებული აქვს ძირითადი საშუალებები.

10. მარაგი

	2024 წ	2023 წ
ნედლეული და მასალები	236376	252509
დაუმთავრებელი წარმოება (მომსახურების ხარჯი)	731124	148329
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	16290	35545
ჯამი	983791	436382

11. ცვლილებები კაპიტალში

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოხდა შეცდომების გამოვლენა და კორექტირება. კერძოდ 2023 წელს ტექნიკური პროგრამული შეცდომით ორჯერ იყო გატარებული სატრანსპორტო საშუალების შეძენა და დარიცხული იყო ამორტიზაცია. თანხა იყო არსებითი და დაკორექტირდა. ასევე პროგრამული შეცდომით გატარებული იყო ზედმეტად დღგ დარიცხვა რაც კომპანიის ინიციატივით იქნა დაკორექტირებული. ანაზარი 800000 ლარი გატარებული იყო ფულად საშუალებებში, რაც დაკორექტირდა და გადანაწილდა მიმდინარე და გრძელვადიან მოთხოვნებში.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შეტანილია ცვლილება შეცდომების შესწორების შედეგად

განხორციელებული ცვლილებები	კორექტირებამდე	კორექტირების შემდეგ	სხვაობა	ცვლილების მიზეზი
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	0	2075	2075	2023 წელს არ ქონდა გატარებული ძირითადი საშუალების ჩამოწერა

ძირითადი საშუალების გატარები გაორება	0	(3782)	(3782)	2023 წელს ამოსაღები ძირითადი საშუალების ამორტიზაციის გატარების კორექტირება
ამორტიზაციის გატარების კორექტირება	0	(45)	(45)	2023 წელს ამორტიზაციის გატარების კორექტირება
სულ შეცდომების გასწორება	0	0	(1752)	2023 წელს მოგება ზარალის კორექტირება

საბალანს მუხლების კორექტირება	31/12/2023 კორექტირებამდე	31/12/2023 კორექტირებამდე	სხვაობა	
ძირითადი საშუალებები	2840238	2728526	(111712)	ბორბლებიანი დამტვირთველი SDLG L936H შეცდომით გატარება შეძენა 113464.1 ლარი ამორტიზაცია 3782.14, ამორტიზაციის კორექტირება 45 ლარი, ჩამოწერა 2023 წ 2074.59
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	0	600000	600000	ანაბრის თანხა ფულადი სახსრებიდან გადმოტანილია სხვა გრძელვადიან მოთხოვნებში (ანაბრის ვადა 2025)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	3329223	2529223	(800000)	ანაბრის თანხა გადატანილია გრძელვადიან და მიმდინარე მოთხოვნებში 2023წ
სხვა მიმდინარე აქტივები	122169	301498	179329	ანაბრის თანხა ფულადი სახსრებიდან გადმოტანილია სხვა მიმდინარე მოთხოვნებში (200000 ლ ანაბრის ვადა 2024წ). დღგ 20605.39 შეცდომით გატარება დასაკორექტირებელია.
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	6821759	6823511	1752	მოგება ზარალის კორექტირება 2023წ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	176474	42338	(134135)	ბორბლებიანი დამტვირთველი SDLG L936H შეცდომით გატარება შეძენა

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024წ.	31.12.2023წ.
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	966513	388860
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(23670)	(23670)
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	9888	40157
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	73689	95249
ჯამი	1026421	500596

სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება მოიცავს სამშენებლო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებით დამკვეთებისგან მისაღები ჯამურ თანხას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2024წ.	31.12.2023წ.
ფულადი სახსრები სალარაოში	1033	1272
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	1827258	2527951
ანაბარი ვადიანი		
ჯამი	1828291	2529223

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024წ.	31.12.2023წ.
სავაჭრო ვალდებულებები	77689	39016
მიღებული ავანსები	15599	3323
ჯამი	93288	42338

სავაჭრო ვალდებულებებში შეტანილი ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულება

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი. ამ იჯარის ვადა 31.12.2025 წ. საიჯარო გადასახდელების გადახდა ხდება ფიქსირებული თანხით. ხარჯად აღიარებული საიჯარო გადასახდელები შეადგენს:

	31/12/2024 წ.	31/12/2023წ.
მოკლევადიანი ვალდებულება	311567	268269

წლის ბოლოს საწარმოს გააჩნია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების შემდეგი ვალდებულებები:

	31/12/2024 წ.	31/12/2023წ.
არა უგვიანეს ერთი წლისა	15000	15000
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	0	15000
ხუთი წლის შემდეგ	0	0
ჯამი	15000	30000

საწარმო უფლებამოსილია განაახლოს იჯარის ხელშეკრულება ვადის ამოწურვის შემდეგ.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოვლენებს არ მოუხდენია გავლენა საწარმოს ფინანსურ შედეგზე

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმო დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს პირ(ებ)ი, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწარმოზე: - 62007006772, გიორგი ქადარია დირექტორი.

საწარმოს დირექტორის კომპენსაციის ოდენობა საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს 244725 ლარს (2023 წ - 327677 ლარი).

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 24 ნოემბერს.